

სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ სესხები და დეპოზიტები 2009 წლის მეოთხე კვარტალში რეკორდულად გაიზარდა

სს „სახალხო ბანკის“ მთლიანი სასესხო პორტფელი 2009 წლის მეოთხე კვარტალში 12.2 მილიონი ლარით (წინა კვარტალთან შედარებით 13.0%-ით) გაიზარდა და 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 106.2 მილიონი ლარი შეადგინა.

სს „სახალხო ბანკმა“ 2009 წლის მეოთხე კვარტლის მანძილზე 64.2 მილიონი ლარის ოდენობის სესხები გასცა. ფიზიკური პირების სასესხო პორტფელმა 65.1 მილიონი ლარი შეადგინა და წინა კვარტალთან შედარებით 29.2%-ით გაიზარდა. აღნიშნული მაჩვენებელი 2008 წლის ბოლოს 89.6 მილიონ ლარს, ხოლო 2007 წლის ბოლოს 79.1 მილიონ ლარს შეადგენდა.

კორპორატიული სესხების პორტფელმა 2009 წლის მეოთხე კვარტალში 41.1 მილიონი ლარი შეადგინა და წინა კვარტალთან შედარებით 5.7%-ით შემცირდა. აღნიშნული მაჩვენებელი 2008 წლის ბოლოს 45.1 მილიონ ლარს, ხოლო 2007 წლის ბოლოს 51.9 მილიონ ლარს შეადგენდა.

კლიენტების დეპოზიტებმა 2009 წლის მეოთხე კვარტალში 203.3 მილიონი ლარი შეადგინა და წინა კვარტალთან შედარებით 47.7 მილიონი ლარით ანუ 30.7%-ით გაიზარდა. ფიზიკური პირების ვადიანი ანაბრები მეოთხე კვარტლის მანძილზე 8.8 მილიონი ლარით ანუ 21.4%-ით გაიზარდა და 92.1 მილიონი ლარი შეადგინა. კორპორატიული კლიენტების ვადიანი ანაბრები კი მეოთხე კვარტლის მანძილზე 77.6%-ით გაიზარდა 111.3 მილიონ ლარს გაუტოლდა.

„მოხარული ვარ, რომ 2009 წლის მეოთხე კვარტლის მანძილზე ბანკმა 64.2 მილიონი ლარის ოდენობის საკუთარი და ბაზარზე მოზიდული რესურსი სხვადასხვა ტიპის სესხში დააბანდა, რითაც ისარგებლა ჯამში 286,347 ადამიანმა. პენსიონერების მხრიდან გაზრდილი მოთხოვნის შესაბამისად, ბანკმა გადაწყვიტა 2006 წლიდან არსებული ერთი, ორი და სამთვიანი საპენსიო სესხის ვადა ხუთ თვემდე გაეზარდა და ამ მიზნისთვის საკუთარი ფულადი რესურსი არ შეეზღუდა, სხვა პირობები კი უცვლელი დაეტოვებინა. მხოლოდ დეკემბერში 117,640-მა პენსიონერმა ისარგებლა სხვადასხვა ვადიანობის განახლებული საპენსიო სესხით, რაც ბანკისთვის ისტორიულ რეკორდს წარმოადგენს. ბანკი კომერციული ორგანიზაციაა და მისი ძირითადი საქმიანობა საკრედიტო მიმართულებაა. მნიშვნელოვანია, რომ მომხმარებელს აქვს არჩევანის თავისუფლება და თავად განსაზღვრავს მისთვის სასურველ სესხის მოცულობასა და დაფარვის ვადას. საკრედიტო აქტივობის ზრდის კვალდაკვალ მომხმარებლის მსყიდველობითუნარიანობა იზრდება, რაც დადებით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. იანვრიდან ჩვენ სრულფასოვნად აღვადგენთ იურიდიული პირების დაკრედიტებას, ხოლო საცალო ბაზარზე მომხმარებელს შემდგომი 2-3 თვის მანძილზე რამდენიმე სიახლეს შევთავაზებთ“, აღნიშნა სს „სახალხო ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელმა თავმჯდომარემ და გენერალურმა დირექტორმა, **ლადო გურგენიძემ**.

სს „სახალხო ბანკის“ შესახებ

სს „სახალხო ბანკი“ (GSE: BANK) 2002 წელს დაარსდა და სიდიდით მეშვიდე ქართული ბანკია. ბანკის საბაზრო წილმა მთლიანი აქტივების მიხედვით 2009 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით 4.2% შეადგინა. სს „სახალხო ბანკს“ 175 სერვის ცენტრისგან შემდგარი ყველაზე ფართო მომსახურების ქსელი აქვს და იგი დაახლოებით 1.2 მილიონ ფიზიკურ პირს და 26,000-ზე მეტ იურიდიულ პირს უწევს მომსახურებას.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ www.peoplesbank.ge ან დაუკავშირდით:

ლადო გურგენიძეს
სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელი თავმჯდომარე და გენერალური დირექტორი
ტელეფონი: +995 99 477 272
ელ-ფოსტა: lado.gurgenidze@peoplesbank.ge ან ir@peoplesbank.ge

„ლიბერთი ინვესტიმენტის“ შესახებ

„ლიბერთი ინვესტიმენტის“ 2009 წლის სექტემბერში დაარსებული საინვესტიციო კომპანიაა. იგი ინვესტიციებს ძირითადად ახორციელებს მზარდი ბაზრების ფინანსურ სექტორში. კომპანიის ბენეფიციარი მფლობელები არიან დიმიტრი პატრიჩუ და ლადო გურგენიძე. „ლიბერთი ინვესტიმენტი“ ინვესტიციებს ახორციელებს ისეთ მზარდ ბაზრებზე, სადაც არის დია, ლიბერალური ეკონომიკა, სიამილო ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, სახელმწიფო მართვის მაღალი სტანდარტები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:

ლადო გურგენიძეს
გენერალური დირექტორი
ტელეფონი: +995 99 477 272
ელ-ფოსტა: lg@libertycapital.ge

დიმიტრი კასატკინს
დირექტორის მოადგილე
+44 77 860 28 700
ელ-ფოსტა: dk@libertycapital.ge